ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6693986

ნომერი: AR1981018

თარიღი : 27.07.2023

გაცემის თარიღი : 04.10.2023

გაცნობის თარიღი : 06.10.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა ბლიაძე პ/ნ 01011002749
- ყიფშიძის ქ. N4, კორპ. 2, ბინა 26

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- " "
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "გესთი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405245471
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კახა ბლიაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011002749

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თორნიკე ნეფარიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ძეგლის არქიტექტურულ პროექტში წარმოდგენილი იქნას აზომვითი ნახაზი. გეგმა ფრაგმენტი იმ ნაწილის სადაც უნდა მოხდეს საჩრდილობლის მონტაჟი. ამ გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საკადასტრო საზღვარი, ტროტუარის ხაზი და ამ ხაზამდე ზომა მითითებული. საპროექტო ნახაზი გაკეთდეს ამავე (აზომვით) ნახაზზე. დატანილი იქნას საჩრდილობლის კონტური და ზომები, მათ შორის ტროტუარის კდემდე. ჭრილი - ჭრილი იმ ნაწილში უნდა გაკეთდეს სადაც უნდა მოხდეს საჩრდილობლის მონტაჟი არსებული მდგომარეობით და საპროექტო. საპროექტო ჭრილზე დატანილი უნდა იყოს საჩრდილობელი ზომებით მათ შორის ტროტუარის კდემდე მანძილით და ნიშნულებით. ფასადი-არსებული ფასადის ნახაზი უნდა შეესაბამებოდეს რეალურ სიტუაციას. საპროექრო ფასადზე დატანილი უნდა იქნას საჩრდილობელი ზომებით, ნიშნულებით და მასალის მითითებით
2. წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ფოტომასალა და ფოტომონტაჟი სხვადასხვა რაკურსიდან- სხვადასხვა ხედიდან, მათ შორის შორი ხედიდანაც (ფასადის ერთიანი ფოტო), სადაც საჩრდილობლის გარდა შენობის ფასადიც გამოჩნდება. ფოტომონტაჟზე დატანილი იქნას ზომები, ნიშნულები, მასალა და ფერის კოდი.
3. საჭიროა წარმოდენილი იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და განახლებული ამონაწერის წარმოდგენა. აგრეთვე, წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენიმხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილიდოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.